

VIVA

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

შპს VIVA

2021 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მოშუადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
2.1. წარდგენის საფუძვლები	8
2.2. მოშუადების საფუძვლები	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
2.4. ამონაგების აღიარება	8
2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	9
2.7. ძირითადი საშუალებები	9
2.8. არამატერიალური აქტივები	10
2.9. აქტივების გაუფასურება	10
2.10. მარაგები	10
2.11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
2.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
2.13. კაპიტალი	11
2.14. უცხოური ვალუტა	11
3. ძირითადი საშუალებები	13
4. მარაგები	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
7. სესხები	14
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
9. შემოსავალი რეალიზაციიდან	15
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	15
13. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	16

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „VIVA“-ს ხელმძღვანელობას

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „VIVA“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგზმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

30 სექტემბერი 2022 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშ ებული)
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
არამატერიალური აქტივები		114	1,100
ძირითადი საშუალებები	3	44,217	37,590
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		44,331	38,690
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მარაგები	4	554,063	458,315
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,534,538	1,158,158
ფული და ფულის ექვივალენტები	6	10,929	6,778
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		2,099,530	1,623,251
მთლიანი აქტივები		2,143,861	1,661,941
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი		6,265	6,265
გაუნაწილებელი მოგება		687,473	491,555
მთლიანი კაპიტალი		693,738	497,820
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხები		147,805	157,805
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		147,805	157,805
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
მოკლევადიანი სესხები	7	368,221	292,882
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	934,097	713,434
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		1,302,318	1,006,316
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,143,861	1,661,941



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ღარი	შენიშვნა	წელი 2021	წელი 2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	5,545,924	3,726,197
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,825,717)	(2,571,871)
საერთო მოგება		1,720,207	1,154,326
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		(722,858)	(260,187)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(794,390)	(499,754)
საოპერაციო მოგება		202,959	394,385
ფინანსური ხარჯები		(61,433)	(47,630)
მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		28,188	(112,424)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა		26,204	22,282
მოგება დაბეგვრამდე		195,918	256,613
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება		195,918	256,613
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		195,918	256,613



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვი ლი მოგება/ზა რალი	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,099	296,087	306,186
წლის მოგება	-	256,613	256,613
წლის მთლიანი შემოსავალი	-	256,613	256,613
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული შემცირება	(3,834)	-	(3,834)
ტრანზაქციები მფლობელებთან წინა პერიოდის მოგება (ზარალის) კორექტირება	(3,834)	-	(3,834)
	-	(61,145)	(61,145)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	6,265	491,555	497,820
წლის მოგება	-	195,918	195,918
წლის მთლიანი შემოსავალი	-	195,918	195,918
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	687,473	693,738



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	წელი 2021	წელი 2020 (გადაანგარიშ ებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება/(ზარალი)	195,918	195,468
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვთა და ამორტიზაცია	12,706	12,010
ფინანსური ხარჯი	61,436	47,631
მოგება / ზარალი სავალუტო კურსთაშორისი	(28,188)	112,424
სხვაობიდან		
საოპერაციო მოგება / (ზარალი) საბრუნავი კაპიტალის	241,872	367,533
შეცვლამდე		
სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნების		
ცვლილება	(376,380)	4,299
მარაგების ცვლილება	(95,748)	64,580
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების		
ცვლილება	256,210	(246,364)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	25,954	190,048
გადახდილი პროცენტები	(61,436)	(47,631)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო	(35,482)	142,417
საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	3 (18,347)	(6,145)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო	(18,347)	(6,145)
საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	(3,834)
მიღებული სესხი	64,260	-
გადახდილი სესხი	-	(213,960)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	64,260	(217,794)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების		
წმინდა ზრდა/(შემცირება)	10,431	(81,522)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,778	82,296
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე	(6,280)	6,004
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,929	6,778
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს VIVA წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2013 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით. კომპანიას ჰყავს სამი პარტნიორი. პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2021 %	2020 %
01015008582, ფერდინანტ ჩობანიანი	40.00	40.00
01015009735, აკოფ ჩობანიანი	40.00	40.00
01013016616, ედუარდ მურადიანი	20.00	20.00
სულ	100.00	100.00

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ საცალო და საბითუმო ვაჭრობით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

2.6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	5 წელი
მანქანა-დანადგარები	7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი ¹

2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.9. აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

2.10. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების

¹ განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს. როდესაც დებიტორული დავალიანება სცდება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია ტრანზაქციის ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

2.13. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2.14. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 3.5040 და ერთი აზერბაიჯანული მანათისთვის - 1,8222 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი, ერთი ევრო 4.0233, ერთი მანათი 1.9288).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.15 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანიამ შეიტანა ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და წინა პერიოდის შეცდომები რეტროსპექტიულად გაასწორა გამოსაცემად დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგებების პირველ ნაწილში მათი აღმოჩენის შემდგომ: წინა პერიოდებში წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, სადაც შეცდომა იყო დაშვებული; ან თუ შეცდომა იყო დაშვებული უახლოეს წარმოდგენილ პერიოდამდე, გადაანგარიშდა აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი ბალანსები უახლოესი წინა წარმოდგენილი პერიოდისთვის. ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოიცავს შესადარის ინფორმაციას წინა პერიოდისათვის წარმოდგენილია როგორც გასწორებული იმ პერიოდში, სადაც ამგვარი საჭიროება გაჩნდა. ამგვარად, თითოეულ წარმოდგენილ პერიოდთან დაკავშირებული შესწორებული რაოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში.

3. ძირითადი საშუალებები

ლარი	იჯარით აღებული შენობის კეთილმ ოწყობა	მანქანა - დანადგა რები	ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	სულ
თვითღირებულება					
1 იანვარი 2020	1,941	20,853	9,649	20,259	52,702
შესყიდვა	-	6,145	-	-	6,145
31 დეკემბერი 2020	1,941	26,998	9,649	20,259	58,847
შესყიდვა	-	3,550	4,297	10,500	18,347
31 დეკემბერი 2021	1,941	30,548	13,946	30,759	77,194
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2020	833	4,464	1,938	2,240	9,475
ცვეთა	834	5,797	1,899	3,252	11,782
31 დეკემბერი 2020	1,667	10,261	3,837	5,492	21,257
ცვეთა	274	5,396	2,061	3,989	11,720
31 დეკემბერი 2021	1,941	15,657	5,898	9,481	32,977
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2020	274	16,737	5,812	14,767	37,590
31 დეკემბერი 2021	-	14,891	8,048	21,278	44,217

4. მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მზა პროდუქცია	551,315	454,392
ნედლეული და მასალები	2,748	3,923
სულ მარაგები	554,063	458,315

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებული მოთხოვნები	3,586	4,095
საბითუმო ვაჭრობასთან დაკავშირებული მოთხოვნები	395,446	394,421
მარკეტინგულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,119,545	757,212
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	15,961	2,430
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,534,538	1,158,158

ყველა თანხა არის მოკლევადიანი, რომელიც წარმოშობილია არაუგვიანეს 6 თვისა. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2021 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 56 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა (2020 წელი - 70 დებიტორი). დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის

განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული სალაროში	7,522	2,931
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	3,050	3,798
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	357	49
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	10,929	6,778

7. სესხები

	სესხის ძირი თანხა ლარი 2021	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედიტის ვადა (დღე)	წლიური ნომინალური განაკვეთი	წლიური ეფექტური განაკვეთი	უზრუნველყო ფილი
სესხი 1	164,100	20.10.2021	13.05.2022	205	12 %	13%	კი
სესხი 2	75,681	10.08.2021	10.08.2022	365	13 %	-	არა
სესხი 3	128,440	10.08.2021	10.08.2022	365	13 %	-	არა
სესხი 4	147,805	05.02.2016	უვადო	-	13 %	-	არა

კომპანიის მიერ მიღებული სესხების უმრავლესობა არის მოკლევადიანი. სესხი 1 წარმოადგენს გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ნაწილს. სრული საკრედიტო ლიმიტის ოდენობა შეადგენს 3,120,700 ლარს, რომლით სარგებლობაც კომპანიას შეუძლია მრავალჯერადად, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე. ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო დასრულების თარიღი არის 2037 წლის 10 ოქტომბერი. აღნიშნული საკრედიტო ლიმიტი უზრუნველყოფილია კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, აკოფ ჩობანიანის, უძრავი ქონებით.

2021 წელს ბანკის მიერ კომპანიაზე გაცემული სესხი შეადგენს 1,622,599.51 ლარს.

სესხი 2 და სესხი 3 წარმოადგენს მიღებულ მოკლევადიან სესხს დამფუძნებლებისგან. აღნიშნულ სესხებზე დარიცხული პროცენტების დაფარვა ხდება ყოველთვიურად.

სესხი 4 არის ერთ-ერთი დამფუძნებლისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი, 2016 წლის 5 თებერვალს და არის უვადო. აღნიშნულ სესხზე დარიცხული პროცენტების დაფარვა ხდება ყოველთვიურად.

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი სესხები	147,805	157,805
მოკლევადიანი სესხები	368,221	292,882
სულ სესხები	516,026	450,687

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 60 კრედიტორის კრედიტორული დავალიანება (2020 წელი - 42 კრედიტორი). კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
------	--------------	--------------

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	907,847	693,515
სავაჭრო ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	3,449	224
მიღებული ავანსები	208	2,117
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22,593	17,578
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	934,097	713,434

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

ღარი	წელი 2021	წელი 2020
შემოსავალი საბითუმო ვაჭრობიდან	4,308,216	2,521,051
შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	1,220,294	1,109,273
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურების გაწევიდან	17,414	95,873
სულ	5,545,924	3,726,197

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ღარი	წელი 2021	წელი 2020
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	449,325	271,567
ავტომობილის ხარჯები	110,693	39,890
იჯარის ხარჯები	105,815	97,800
კომუნალური ხარჯები	24,923	19,059
ბუღალტრული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	19,903	20,600
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი	12,706	12,010
ბანკის საკომისიო	11,296	10,175
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	10,872	1,075
მივლინების ხარჯები	8,685	573
საოფისე ხარჯები	8,378	7,608
საპენსიო ხარჯები	7,023	4,600
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,557	165
კომუნიკაციის ხარჯები	3,432	4,082
საკანცელარიო ხარჯები	2,703	2,428
უსაფრთხოების ხარჯები	1,424	1,424
დაზღვევის ხარჯი	806	-
საგადასახადო ხარჯები	757	738
სხვა ხარჯები	12,092	5,960
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	794,390	499,754

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა ერთი სახის ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან, რაც გულისხმობს სესხის მიღებას დამფუძნებლებისგან.

კონკრეტული ინფორმაცია 2021 წლის განმავლობაში ნასესხებ თანხებთან დაკავშირებით იხილეთ ცხრილში.

ღარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სესხის ნაშთი	351,925	235,687
დარიცხული პროცენტი	61,436	47,631
გადახდილი პროცენტი	61,436	47,631
დაფარული ძირი თანხა	234,068	146,115

13. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა უზუსტობები შესადარის ინფორმაციაში, რომელიც დაკავშირებულია ქვემოთ მითითებულ პოზიციებთან და, შესაბამისად, განაახლეს ინფორმაცია უზუსტობების გამოსასწორებლად. ძირითადი შესწორებები გამოწვეულია სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების გადაფასების შედეგად. აღნიშნული ცვლილება აისახება გაუნაწილებელი მოგების ბალანსზე 2020 წლისთვის. ანგარიშების კლასიფიკაცია შეცვლილია და საბოლოო შედეგები ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

ღარი	გადაანგარიშებუ ლი 2020	გადაანგარიშე ბა 2020	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,155,728	(38,807)	1,194,535
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები	1,623,251	(38,807)	1,662,058
დაუფარავი ზარალი (მოგება)	234,942	(61,145)	296,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	693,739	22,338	671,401
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები	1,006,316	22,338	983,978

ღარი	გადაანგარიშებუ ლი 2020	გადაანგარიშე ბა 2020	31 დეკემბერი 2020
წმინდა მოგება	195,468	(61,145)	256,613